საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ.ბათუმი **2011 წლის 21 ნოემბერი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 83

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

,,ზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტის დ[1] ქვეპუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ერთი მასტერკლასის ან ერთი საჯარო ლექციის ანაზღაურება განისაზღვროს 250 ლარის ოდენობით.

2. მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგნაირად:

სრული პროფესორი/საშემსრულებლოდარგის მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 30 ლარი

ასოცირებული პროფესორი და მეცნიერ-მუშაკი - ერთი საათი - 25 ლარი.

ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 20 ლარი.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,2009-2010 სასწვალო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ" რექტორის მოვლეობის შემსრულებლის 2009 წლის 21 სექტემბრის №20 ბრძანება და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,2009-2010 სასწავლო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ" 2009 წლის 21 სექტემბრის № 20 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 24 სექტემბრის № 227 ბრძანება.

4. დადგენილება დასამტკიცებლადწარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

5.დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**